ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 338

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.81.21.106.003) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (საიდენტიფიკაციო №204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ, არსებული 1150 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.81.21.106.003) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის №25.1157.1288 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (პირველ სართულზე - 325.70 კვ.მ. მეორე სართულზე - 345.54 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.81.21.106.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (საიდენტიფიკაციო №204395537) საკუთრებაში გადაცემაზე,

ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე